პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
20 დეკემბერი
№ 291 (17933)
ფასი 2 კაპ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**დიდი** ღვაწლისათვის, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა — ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმის გამოჩენილმა განმგრძობმა დასდო კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე **ბრეჟნევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1980 წლის 18 დეკემბერი.

# ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს



ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

თქვენი დაბადების დღესთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად მოგესალმებიან თქვენ — ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმის გამოჩენილ განმგრძობს, საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მგზნებარე მოღვაწეს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლს, თანამიმდევარ მარქსისტ-ლენინელს.

თქვენი დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, ლეონიდ ილიას ძევ, სამშობლოს, ლენინური პარტიის, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. თქვენი მუშაობისათვის დამახასიათებელმა ულევმა ენერგიამ, პარტიულმა პრინციპულობამ, ხალხის ცხოვრებასთან განუყოფელმა კავშირმა მშრომელთა საყოველთაო სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოგიხვეჭათ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა პოსტზე, რომელზეც კი გაუგზავნიხართ პარტიას, თქვენ ყოველთვის პირნათლად ამართლებდით და ამართლებთ თქვენთვის გაწეულ დიდ ნდობას.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიიწევს წინ, მძლავრი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზით, განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის კავშირი, კიდევ უფრო მჭიდრო გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა.

ჩვენი პარტია, ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ლეონიდ ილიას ძევ, თავიანთი დაუღალავი ზრუნვით მშრომელთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მათ დარაზმვას ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებებთან განუყრელად არის დაკავშირებული თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობა, ლეონიდ ილიას ძევ, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდისათვის.

მთელმა ჩვენმა ხალხმა, მთელმა პარტიამ უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების საყოველთაო-სახალხო განხილვა უაღრესად საქმიან და შემოქმედებით ვითარებაში მიმდინარეობს, რაც დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორია გეზი, რომელიც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით შეიმუშავა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. უეჭველია, XXVI ყრილობა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

თქვენდამი გულითადი, წრფელი გრძნობებით გამსჭვალულნი, გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ წარმატებებს თქვენს დაუღალავ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და კომუნიზმის იდეების გასამარჯვებლად.

| | | |
|---|---|---|
| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სამშობლოს საპატიო ჯილდო გადაეცა

**18 დეკემბერს** კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სამშობლოს საპატიო ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

ჯილდოს გადაცემას ესწრებოდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ა. კ. ანტონოვი და ი. ი. ბოდიული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი და გ. ე. ცუკანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი გ. ს. პავლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. მ. ბოგოლიუბოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

ჯილდოს გადაცემისას ამხ. მ. ა. სუსლოვმა სიტყვა წარმოთქვა.

## ამხანაგ მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! დღეს ჩვენ მთელ პარტიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულითადად, გულწრფელად და მხურვალედ გილოცავთ დაბადების დღეს.

ყველა ჩვენგანისათვის საერთო ამ დღესასწაულის წინადღეს თქვენ, ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმის გამოჩენილ განმგრძობს, თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, ჩვენ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მილიონობით ადამიანი, მოგმართავთ სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად მიიღეს მისალმება თქვენდამი, ლეონიდ ილიას ძევ.

შემდეგ ამხ. მ. ა. სუსლოვმა წაიკითხა მისალმება და დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში გადასცა იგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ადამიანების გრძნობებსა და სურვილებს, დაგაჯილდოვათ თქვენ, ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმის გამოჩენილი განმგრძობი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, — მეორე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

წილად მხვდა დიდი პატივი და გულწრფელად მოხარული ვარ გადმოგცეთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, მთავრობის ეს საპატიო ჯილდო.

გილოცავთ დაბადების დღეს, სამშობლოს ჯილდოს, და სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს აღმშენებლობითს მოღვაწეობაში ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის იდეალების გამარჯვებისათვის.

✦ ✦

ტაშის გრიალში ამხ. მ. ა. სუსლოვმა გადასცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო მიხეილ ანდრიას ძევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოგახსენებთ აქ ნათქვამი გულთბილი სიტყვებისათვის.

დიდად მადლობელი ვარ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, რომლებმაც მეორე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დამაჯილდოვეს. დიდი ოქტომბრის სახელობის ორდენით დაჯილდოება დიდი პატივია და მეც ღირსეულად ვაფასებ მას.

ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები გასხივოსნებული იყო ოქტომბრის განთიადით, სამოქალაქო ომის კოცონით, რომლის დროსაც ჩვენი ხალხი ოქტომბრის საქმეს იცავდა. ოქტომბრის საქმეს, ლენინის საქმეს შევალიე პრაქტიკულად მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება.

რამდენიმე თვეში შრომითი მოღვაწეობის დაწყების 60 წელი და ჩვენი ლენინური პარტიის რიგებში ყოფნის ნახევარი საუკუნე შემისრულდება.

სხვადასხვა უბნებზე და სხვადასხვა თანამდებობაზე მომიხდა ყოფნა ამ წლებში. ვიყავი უბრალო მუშა, ინჟინერი და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი. ვიყავი ოფიცერი და გენერალი დიდი სამამულო ომის წლებში. მაგრამ, ჩემი აზრით, მთელ ამ საქმიანობას ერთი საერთო მნიშვნელი აქვს. ეს მნიშვნელია სოციალიზმის მშენებლობა, რომლის გზაც დაგვისახა დიდმა ოქტომბერმა, და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვა, ოქტომბრის საქმის დაცვა.

დღესაც, როცა პარტიისა და ხალხის მიერ მონდობილ პოსტებზე ვიმყოფები, ჩემი მუშაობის უმთავრეს აზრად მიმაჩნია ხელს ვუწყობდე იმ მაღალი მიზნების განხორციელებას, რომელთა მისაღწევად მოხდა დიდი ოქტომბრის რევოლუცია.

ეს კი ნიშნავს იღვაწო საბჭოთა ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, მისი კომუნისტური შეგნების ზრდისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის. ეს ნიშნავს, მტკიცედ დაიცვა ქვეყნად მყარი მშვიდობისა და პროგრესის საქმე.

მადლობელი ვარ ბედისა, რომ შესაძლებლობა მაქვს ვიხდიდე ჩემ ვალს ჩვენი სახელოვანი პარტიის რიგებში, მის ერთსულოვან ხელმძღვანელ კოლექტივში, თქვენთან ერთად და თქვენს მხარდამხარ, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო.

ჩვენს წინაშე, მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი და ძნელი ამოცანები დგას. უახლოესი წლებისათვის მათ განსაზღვრავს პარტიის მომავალი XXVI ყრილობა. მათი გადაწყვეტისათვის უნდა ვიღვაწოდეთ მთელი არსებით.

სწორედ ეს იქნება პრაქტიკული ბრძოლა დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეალებისათვის თანამედროვე პირობებში.

პირობას გაძლევთ, მთელ ძალ-ღონეს შევალევ ამ კეთილშობილურ საქმეს.

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას საპატიო ჯილდოსათვის.

✦ ✦

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სამშობლოს საპატიო ჯილდო და დაბადების დღე გულითადად მიულოცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, უსურვეს ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი მრავალმხრივ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გასამარჯვებლად, ქვეყნად მშვიდობის განსამტკიცებლად.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადი მადლობა გადაიხადა მილოცვისათვის. (საკდესი).



**სურათზე:** ჯილდოს გადაცემის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობას და უსურვებენ დიდ წარმატებებს მუშაობაში.

კომუნისტური პარტია და მისი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს, როგორც ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის აღზრდისა და მისი მსოფლმხედველობის ფორმირების მძლავრ საშუალებას.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ შემოქმედებითად გამოიყენა დიდი გამოცდილება და თავისი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ძვრებისა და გარდაქმნების შედეგად დიდი და საინტერესო საქმიანობა გასწია, გამოიმუშავა სასარგებლო ტრადიციები, ხალხის მხარდაჭერა და პატივისცემა დაიმსახურა. საზოგადოების მოღვაწეობის თანამედროვე ეტაპი ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში ახალი წარმატებებით არის აღნიშნული.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ჩვენი პარტია და ხალხი ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, როცა რესპუბლიკა განიცდის კანონიერი სიამაყის გრძნობას მნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვების მოპოვების — მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და მასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების გამო.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით პარტიის XXVI ყრილობისათვის „1981-1985 წლებში და 1990 წლის პერიოდამდე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი", უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას და მთელი იმ ძალების შეკავშირებას, რომლებიც მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

ჩვენი საერთო განზრახვაა ყველაფერი ვიღონოთ, რათა არასოდეს არავითარი ზიანი არ მიადგეს ხალხთა გარჯით მონაპოვარს, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამას წინათ ინდოეთში ვიზიტის დროს. ლეონიდ ილიას ძის ეს ღირსშესანიშნავი სიტყვები პრაქტიკული საქმიანობის დევიზად უნდა იქცეს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის დელეგატთათვის, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობა საბჭოთა საზოგადოების ამ ნათელ და კეთილშობილურ იდეებს უნდა შეუხამონ; ამით ისინი დაიცავენ უკვდავ ღირებულებებს, რომლებიც ხალხმა შექმნა, კულტურის დიდებულ ძეგლებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ისტორიას ასახავენ.

ლენინური დეკრეტების ლოგიკური შემოქმედებითი განვითარებაა კანონები, რომლებიც მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებმა — „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ"; ეს კანონები აისახა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში.

უკანასკნელ წლებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. შეიქმნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, არნახული მასშტაბი მიიღო ძეგლთა გამოვლენის, დაცვის, რესტავრაციისა და რეგენერაციის საქმემ, განსაკუთრებით გაიზარდა კულტურის ძეგლთა დაცვის მნიშვნელობა მოსახლეობის პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ახლახან მიღებულ იქნა დადგენილება არქეოლოგიური კვლევის შემდგომი გაფართოების შესახებ, მზადდება დადგენილება ძეგლთა დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების მთავარი ამოცანაა უფრო ფართოდ, შემოქმედებითად გაშალოს მომავალში თავისი მუშაობა, მიზანსწრაფულად ჩაატაროს ხალხის სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა კვლევა, შესწავლა, დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურის ძეგლების, წარსულის მემკვიდრეობის შესწავლა მთლიანად და სრულად უნდა დაექვემდებაროს დღევანდელ მოთხოვნებს, რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, კულტურის ძეგლთა აქტიურად გამოყენებას ჩვენი მშრომელების, ჩვენი ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტურ აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა, მისი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ამოცანების განხორციელებას, რომ ძეგლთა დაცვის საზოგადოების მრავალათასიანი კოლექტივი მთელ თავის მუშაობას წარმართავს პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად!

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

1980 წლის 19 დეკემბერი.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# „მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით“

**ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ემზადება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გამოიჩინა ინიციატივა — გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით“.**

რესპუბლიკის ამ მოწინავე კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მეთერთმეტე ხუთწლედში დამატებითი კაპიტალური დაბანდების გარეშე გაზარდოს პროდუქციის საერთო მოცულობა 8 მილიონი მანეთით ანუ 21 პროცენტით, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება — 3 მილიონი მანეთით ანუ 95 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაადიდოს პროდუქციის ანართმი თითოეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე.

იმის მეოხებით, რომ ქარხანა...

...ფიერება ხუთწლედის მანძილზე 5 პროცენტით გაიზარდა. ამის შედეგად მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 83 პროცენტი.

საწარმოში რაციონალურად იყენებენ მატერიალურ და შრომით რესურსებს, რის საფუძველზეც უმცირესი დანახარჯებით იღებენ მაქსიმუმ პროდუქციას. ამის მეოხებით მეათე ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული, კერძოდ, შემცირდა 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები, იკლო გამოშვებული პროდუქციის...

...ბის საქონლის გამოშვება 83 პროცენტით გაიზრდება, კომპლექსურად არის მექანიზებული 25 უბანი და 2 საამქრო, დაინერგა 7 რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხი, დამონტაჟებულია სავენტილაციო დანადგარები, საექსპლოატაციოდ გადაეცა სასადილო, 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოს მუშაკთა ბინების საერთო ფართობი გაიზარდა 11840 კვადრატულ მეტრამდე, კეთილმოეწყო საცხოვრებელი მასივები, გზები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

სოციალურ-კულტურული განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში მოპოვებული მიღწევებისათვის ქარხანას „წარმოების მაღალი კულტურის საწარმოს“ საპატიო წოდება მიენიჭა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმოების მოცულობის გაზრდისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, რენტაბელობისა და მოგების გადიდე-...

...ბებს ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

მრეწველობის პროდუქციის წარმოების მეათე ხუთწლედის გეგმა ვადამდე შესრულდება, გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 655 ათასი მანეთის პროდუქციას. საშუალო წლიური შრომის ნაყო-...

...ციალისტურ მეჯიბრებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, აგრეთვე შრომითი კოლექტივის სოციალურ-კულტურული განვითარების ღონისძიებათა განხორციელებას. ხუთწლეულში სახალხო მოხმარე-...

...ციატივის არსსა და მნიშვნელობას, გამოავლინონ ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების მუშაობას ამ ინიციატივის დანერგვისა და გავრცელების საქმეში. (საქინფორმი).

---

ბიჭვინთა:

# ახალგაზრდა ჟურნალისტთა დიალოგი

**ახალგაზრდა** ჟურნალისტთა პროფესიული დონის ამაღლების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოსამზადებლად მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ამოცანების შესახებ საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში, სადაც დამთავრდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა მესამე რესპუბლიკური სემინარი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ მოწყობილ ამ სემინარზე შეიკრიბნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების წარმომადგენლები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. გაიმართა ახალგაზრდა ჟურნალისტთა შეხვედრა გაგრის ზონის საწარმოებისა და მეურნეობების მშრომელებთან.

სიტყვა — სემინარის მონაწილეებს:

**ნონა ქოგალია, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მრავალტირაჟ...**

...ჟურნალისტებისათვისაც, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაიზარდა. სემინარზე გამართული საუბრები, დისკუსიები დაგვეხმარება უფრო გასაგებად, სწორად და საინტერესოდ ავაგოთ ჩვენი გადაცემები. (საქინფორმი).

---

XXVI სკკპ ყრილობის შეხვედრად

# ალმშენებლობის პროგრამა

**გამოხმაურება ● წინადადება ● მოსაზრება**

**განიხილავთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“**

**თბილისის** ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს კომუნისტთა ღია პარტიული კრების დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი საკითხი: განეხილათ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტი. ცვლის შემდეგ სამუშაო სპეცტანსაცმლიანი ადამიანები შეიკრიბნენ საამქროს წითელ კუთხეში, რათა თავიანთი მუშური აზრი გამოეთქვათ დოკუმენტის პროექტის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს პარტიის სტრატეგიას მეთერთმეტე ხუთწლედისათვის, 1990 წლამდე პერიოდისათვის. არსებითად, ეს კრება გადაიქცა სჯა-ბაასად მიღწეულისა და მომავლის ამოცანების შესახებ, კოლექტივის იმ შესაძლებლობათა ანალიზად, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ კიდევ უფრო აამაღლონ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი რესპუბლიკის დედაქალაქის უძველეს საწარმოში. ...

...ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. მან გეგმის გადამეტებით გამოუშვა 7 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურმა სისტემამ, რომელიც ქარხანაშია დანერგილი, საიმედოდ გადაულობა გზა წუნს — აგერ უკვე სამი წელია, რაც ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია მომხმარებლებისაგან.

— რთული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში, — თქვა უფროსმა ოსტატმა ა. ყალიჩავამ. — 1985 წლისათვის პროდუქციის გამოშვების მოცულობა უნდა გავადიდოთ 3 მილიონი მანეთით. რა თქმა უნდა, კოლექტივს ძალიან დაეხმარება ქარხნის რეკონსტრუქცია, რომელიც მალე დამთავრდება, თანამედროვე მაღალმწარმოებლური მოწყობილობით მისი აღჭურვა, მაგ-...

— დისციპლინის განმტკიცების საკითხი ფართოდ დგას ძირითად მიმართულებათა პროექტში, — ხაზგასმით აღნიშნა ოსტატმა ვ. რთველაძემ. — ეს არის შრომის დისციპლინაც, საწარმოოც, და სახელშეკრულებოც. ყველამ იცით, რა ხშირად გვღალატობენ ხოლმე მომიჯნავეები, მშენებლები, რომლებიც ახორციელებენ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის რეკონსტრუქციას. სულ ახლახან ქარხანაში დაიროდა ქვაბების მიწო-...

...და ობიექტების თანაბარზომიერ ამოქმედებას წლის განმავლობაში; ნორმატივს გავუთანაბროთ უახლოეს წლებში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა და დაუდგმელი მოწყობილობის მარაგი“. ჩვენთან კი რა ხდება? მოწყობილობა, ამასთან მაღალმწარმოებლური, ძვირად ღირებული, თავის დროზე მოდის, მშენებლები კი არ ჩქარობენ, ასიათასობით მანეთი ხომ ღია ცის ქვეშ რჩება, და მექანიზმები, ნაცვლად იმისა, რომ მუშაობდნენ, გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებდნენ, უმოქმედოდ არიან, ცდებიან. ჩემი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ მშენებლობა...

## მუშა კაცის სიტყვა

---

## ხორცის ზიდრები

# გადიდდება ხორცის წარმოება




...იმედოდ უზრუნველყოს ქვეყანა სურსათით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

მეცხოველეობის პროდუქტებით მშრომელთა უზრუნველყოფის საქმე ამ ბოლო ხუთწლეულში შესამჩნევად გაუმჯობესდა. ეს იმიტომ, რომ მეცხოველეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთავრობა, სამეურნეო ორგანოები, საზოგადოებრივი მეურნეობები.

ძირითად მიმართულებებში მეცხოველეობის და, კერძოდ, ხორცის წარმოების გადიდება ჩვენმა პარტიამ ერთ-ერთ ძი-რითად ამოცანად მიიჩნია სასურსათო პროგრამის გადასაწყვეტად.

ძირითად მიმართულებებში ვკითხულობთ, რომ რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედში ხორცის საშუალო წლიური წარმოება უნდა გავადიდოთ სულ ცოტა 160 ათას ტონამდე (ნაკლავი წონა).

ეს იმას ნიშნავს, რომ მეცხოველეობაში ფართოდ უნდა დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მკვეთრად გავადიდოთ ხორცის წარმოება. ამ დიდ საქმეში რესპუბლიკის ყველა მშრომელმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

**რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედში ხორცის საშუალო წლიური წარმოება გადიდდება სულ ცოტა 160 ათას ტონამდე (ნაკლავი წონა).**

---

# საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა

**19 დეკემბერს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ო. ჩერქეზია, ჟ. შარტავა, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მეცნიერები, ლიტერატორები, მოძმე რესპუბლიკებიდან — სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობისადმი.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ი. ციციშვილმა.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში ყრილობაზე გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კანდელაკმა, სამანდატო კომისიის ანგარიში — ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. პაპიძემ.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ხარატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მ. გორგაძე, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. მეზვრიშვილი, საქართველოს სსრ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ო. ლორთქიფანიძე, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ა. არღუნი, ბირბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ლოლიჯაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ა. ტაკიძე, მწერალი ჭ. ამირეჯიბი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის ძეგლთა დაცვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. კოჩიევი, პროფესორი ს. სერებრიაკოვი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ს. ხოშტარია, სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. ლომძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თ. ბადურაშვილი, საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. სანებლიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. გ. ენუქიძემ.

● ●

**გაიმართა** საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა. საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ციციშვილი, მის მოადგილეებად — ო. სანებლიძე, გ. პაპალაშვილი, ვ. ბერიძე და ო. ლორთქიფანიძე. საზოგადოების საბჭოს მდივნად არჩეულია ი. ზაქარაშვილი.

(საქინფორმი).

---

„კავკასელექტროქსელმშენი“ სამოცი წლისაა

# ათასობით კილომეტრებში გადალახული სიძნელე

**სამოცი** წლის წინათ 1920 წლის 22 დეკემბერს, რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მოხსენების თანახმად დამტკიცდა საბჭოთა ქვეყნის ელექტრიფიკაციის — გოელროს გეგმა.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემის განვითარებაზე ამ გადაწყვეტილებამ. მთელ ქვეყანაში გოელროს...

...ძაბვის გადამცემი ხაზებისა და დიდი სიმძლავრის ქვესადგურების აშენებით გააერთიანა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის...

1979 წელს ტრესტის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ...

...წინაშე უკვე ისახება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებანი, და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ენგურჰესცენტრალნაია-სტავროპოლის უნიკალური 500 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 617 კილომეტრი იქნება. ამ ობიექტზე მუშაობა მიმდინარე წელს დაიწყო, მაგრამ მთავარი სიძნელეები წინ გველის. ...

„კავკასელექტროქსელმშენი“

**ნ. გაჩეჩილაძე,**

---

**საქართველოს** ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს სისტემის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი ინტერესით სწავლობს და იხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

ეს პროგრამა გვანცვიფრებს თავისი მასშტაბურობით, უპირველესად თვალში გვხვდება პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხთა მატერიალური და სულიერი დონის ამაღლებისათვის.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის, როგორიც არის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდა, სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობა, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ახალდაქორწინებულთათვის სახელმწიფო დახმარების გადიდება, ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემების, სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშრომელთა დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზაციის, საექსკურსიო მომსახურების ყოველნაირად განვითარებასა და სრულყოფას. სწორედ ამიტომაც არის რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღო დადგენილება „ქვეყანაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ“. ეს ისტორიული დად-...

...სულისკვეთებით. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდობაში მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, საერთო ცოდნისა და სულიერი სამყაროს გამდიდრებას.

პროექტის მიხედვით მომავალ ხუთწლედში ეს ამოცანები კიდევ უფრო მასშტაბური ხდება საქართველოში, რომელსაც მშრომელთა ორგანიზებული დასვენების დიდი რესურსები აქვს.

რესპუბლიკის ეკონომიკური და

# ფართო გზა — ტურიზმს

**ყოველნაირად განვავითაროთ და სრულვყოთ მშრომელთა დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზაცია. გავაფართოოთ ბავშვებთან ერთად მშობელთა ერთობლივი დასვენების და მკურნალობის შესაძლებლობანი. გავაუმჯობესოთ საექსკურსიო მომსახურება...**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან.

სოციალური განვითარების პროგრამით გათვალისწინებულია „საქართველოში განვავითაროთ საკურორტო ზონები და ტურისტული ბაზები“. ამ პროექტიდან ნათელი ხდება ტურიზმის განვითარების პერსპექტივები უახლოეს მომავალში.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში მოპოვებულ ჯერ არნახულ წარმატებებში გარკვეული...

...ნაღში — 309, ყაზბეგსა და ფასანაურში — 400-400, ცხინვალში — 265, ვარძიაში — 250, ლენტეხში — 200 და ჯავაში — 260-ადგილიანი, ბათუმის ტურისტული რესტორანი „მესხეთი“, სადაც 690 დასაჯდომი ადგილია, სამგზავრო-საჰაერო-საბაგირო გზა ყაზბეგში და სხვა.

ახალი საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროები ჩამოყალიბდა სიღნაღში, ზუგდიდში, გალში, ლენინგორში, მუახევში, ქიათუ-რაში. რესპუბლიკაში მოქმედი 26 საექსკურსიო ორგანიზაცია და 60-მდე ტურისტული ობიექტი ყოველწლიურად 12 მილიონზე მეტ კაცს უწევს მომსახურებას.

მეთერთმეტე ხუთწლედში გადიდებული ამოცანებია დასახული. ტურიზმის მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად გათვალისწინებულია 36 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდება, საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ 3890 ადგილიანი ტურისტული ბაზები, დამთავრდება წინა ხუთწლედში დაწყებული და ახალი ტურისტული სასტუმროების მშენებლობა: გაგრაში — 1000 ადგილიანი, სოხუმში — 550, გუდაუთაში — 520, ოჩამჩირეში — 458, ბათუმში — 690, „ოქროს ნაპირზე“ — 360, თბილისში — 1300, ბობოყვათში — 1000, ბორჯომში, ბაკურიანში, ახალ ათონსა და ... ონში — 300-300, ვანში — 100-ადგილიანი, მწყობრში ჩადგება საჰაერო-საბაგირო გზები ბაკურიანში, ტურიზმის სისტემის მუშაკთათვის აშენდება საცხოვრებელი სახლები. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის მომსახურების მოცულობა 80 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

გაფართოვდება საექსკურსიო ორგანიზაციების ქსელიც. მომავალი წლიდან გათვალისწინებულია ახალი საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროების შექმნა დუშეთში, ბოლნისსა და ახალციხეში. კიდევ უფრო გაფართოვდება საოჯახო დასვენების ქსელი. ჩემი აზრით კარგი იქნება, თუ „ძირითად მიმართულებაში“ აისახება ასეთი მშენებლობებისათვის კაპიტალდაბანდებათა რაოდენობის გადიდება.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ უახლოეს ხანში ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცეს მოწინავე ტურისტული ინდუსტრიის რესპუბლიკად. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები ენერგიასა და ცოდნას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტონ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

**კ. ტაბატაძე,**

**საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

---

**ჩვენი აზრით**

# შრომის ნაყოფიერება რომ ამაღლდეს

**პარტიის** მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში უთუოდ დიდი როლი შეუძლია შეასრულოს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდის ისეთმა ნაცადმა საშუალებებმა, როგორიც არის მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისება, შრომის ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია.

ამიტომ კარგი იქნება, თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის იმ აბზაცს, რომელშიც ნათქვამია „გავზარდოთ მატერიალური და მორალური წახალისების სისტემის ქმედითობა, გავაძლიეროთ შრომის მიხედვით ანაზღაურების — მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროს მასტიმულირებელი როლი“..., დაემატოს შემდეგი სიტყვები: „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთათვის განისაზღვროს ნატურალური პროდუქციით წახალისებისა და შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურების ერთიანი მტკიცე ნორმები“.

**ვ. მიქელაძე,**

**ახალქალაქის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.**

# ლ. ი. ბრეჟნევი:

# მშვიდობა უნდა დავიცვათ, მისთვის უნდა ვიბრძოლოთ

პარიზი, 18 დეკემბერი. (საქდესი). „ლ. ი. ბრეჟნევი. ცხოვრების ფურცლები" — საფრანგეთის გამომცემლობა „პიგმალიონმა" მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ახეთი სახელწოდების წიგნი, რომელიც აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

წიგნი იხსნება ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვით ფრანგი მკითხველისადმი. მასში ნათქვამია:

„ეს წიგნი გიამბობთ ჩემი ცხოვრების, ჩემი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის ამბავს, რომელსაც სურს იცხოვროს კეთილმეზობლობითა და მეგობრობით მსოფლიოს სხვა ხალხებთან.

ყველა თემიდან განსჯისათვის, რომელიც კი შეიძლება გამოიწვიოს ამ ნაამბობმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია მშვიდობის თემა. საბჭოთა ხალხისათვის იგი მუდამ პირველ ადგილზე დგას. ჩვენში, უნდა ითქვას, არ არის ოჯახი, სადაც დღემდე არ ახსოვდეთ ისინი, ვინც ომიდან შინ არ დაბრუნებულან. არადა, მას შემდეგ არცთუ ცოტა დრო გავიდა — ოცდათხუთმეტი წელი.

თანამედროვე პირობებში არ კმარა გსურდეს მშვიდობა, არ კმარა იჩენდე მშვიდობისმოყვარეობას. მშვიდობა უნდა დაიცვა, მისთვის უნდა იბრძოლო. ჭეშმარიტებას არ ვუღალატებ, თუ ვიტყვი, რომ ასე ფიქრობს ორას სამოცი მილიონივე საბჭოთა ადამიანი.

მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც ჩემს სახელს უკავშირებს მშვიდობისათვის ბრძოლას, დაძაბულობის შენელებას. ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაძაბულობის შენელება, მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო ცხოვრების ნორმა გახდეს.

დაძაბულობის შენელებას ბევრი მტერი ჰყავს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა უკანასკნელ თვეებში. მიუხედავად ამისა, ჩვენ პესიმისტები როდი ვართ. მეტისმეტად ღრმად აქვს ფესვები გადგმული დაძაბულობის შენელებას, რომ შეიძლებოდეს მისი ამოძირკვა მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებიდან. დაძაბულობის შენელებამ დიდი ხანია უკვე მოიცვა ხალხის მასების გონება, დაამტკიცა თავისი ყველასათვის სასარგებლო როლი, დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მას ალტერნატივა არა აქვს.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა კვლავაც იყოს მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების დინამიკური და ანგარიშგასაწევი ფაქტორი, რათა ჩვენი ქვეყნები და ჩვენი ხალხები მოქმედებდნენ როგორც სანდო პარტნიორები.

საბჭოთა ადამიანები ოდითგანვე საფრანგეთს კეთილი გრძნობებით ეკიდებიან. ჩვენი ხალხების მეგობრობას სათავე შორეულ წარსულში უდევს. მას ახლაც განაპირობებს მრავალი ეროვნული ინტერესების დამთხვევა. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის ცხოველმოქმედება არაერთგზის დადასტურებულა ორივე ქვეყნის ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში, განსაკუთრებით ახლანდელ ასწლეულში.

საბჭოთა ადამიანების გულწრფელ პატივისცემასა და სიმპათიებს იწვევს ფრანგი ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, მისი დემოკრატიული ტრადიციები, თვალსაჩინო მიღწევები ადამიანის გენიის ბევრ სფეროში.

მე არაერთხელ ვყოფილვარ საფრანგეთში, გამიმართავს მოლაპარაკება თქვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, შევხვედრივარ სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკურ მოღვაწეებს, ფრანგ მშრომელებსა და მათს წარმომადგენლებს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ამასწინანდელმა უმაღლესი დონის ვარშავის შეხვედრამ შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო უკეთ გაგვეგო ჩვენი ქვეყნების ინტერესები, არამედ პრაქტიკული დასკვნებიც გამოგვეტანა მომავლის პოლიტიკისათვის. ეს იყო პირველი ყველაზე დიდი ნაბიჯი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგისა და ურთიერთგაგების გზაზე საერთაშორისო ვითარების ახალი გართულების პერიოდში. ამას ორმხრივი სარგებლობა ჰქონდა.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობა უკვე დიდი ხანია კარგ შედეგს იძლევა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება: პოლიტიკური თანამშრომლობის დარგშიც და საქმიან სფეროშიც. ჩვენ მხარს ვუჭერთ არა მარტო იმას, რომ სწრაფი ტემპით იზრდებოდეს ეკონომიკური გაცვლა, არამედ იმასაც, რომ მივაღწიოთ ახალ მიჯნებს, კიდევ უფრო ავამაღლოთ სავაჭრო კავშირურთიერთობის ეფექტიანობა. ეს სავსებით ეხება აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის დარგს.

ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა და ურთიერთგაგება ჩვენი საერთო კუთვნილებაა, რომელიც შეიქმნა ორი ქვეყნისა და ხალხის შეუპოვარი მეცადინეობის ფასად. ჩვენ გვინდა, რომ მას ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ".

საფრანგეთში წიგნის „ლ. ი. ბრეჟნევი. ცხოვრების ფურცლები" გამოსვლა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, განაცხადა გამომცემლობა „პიგმალიონის" გენერალურმა დირექტორმა ჟ. ვატლემ. ფრანგებს შესაძლებლობა მიეცემათ ფართოდ და სრულად გაეცნონ ლ. ი. ბრეჟნევის საინტერესო მოვლენებით აღსავსე ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იმ ადამიანის განსაკუთრებულ ბედს, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებების შესაბამისი სოციალიზმის იდეების უძლეველობის რწმენით, თანამიმდევრული პოლიტიკური მრწამსის მეოხებით მძლავრი სახელმწიფოს ხელმძღვანელი გახდა, რომელსაც მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავია.

ეს წიგნი ისტორიული დოკუმენტია. საერთაშორისო ვითარების გამწვავების პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა გვესმოდეს ერთმანეთის პოზიციები. წიგნში ძალიან მკაფიოდ არის გაშუქებული ლ. ი. ბრეჟნევის მიზნები და აზრები. და, მაშასადამე, ისიც, თუ რას ფიქრობს საბჭოთა ხალხი.

ამ წიგნის გამოცემა საფრანგეთში, უეჭველია, ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, რასაც ლ. ი. ბრეჟნევი მუდამ ასეთ დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს. იმედი მაქვს, რომ მას წაიკითხავს რაც შეიძლება მეტი ფრანგი, რომლებსაც იგი დაეხმარება უფრო ღრმა წარმოდგენა ჰქონდეთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკაზე.

# სემინარი განაგრძობს მუშაობას

— მეთერთმეტე ხუთწლედში დაიწყება და 1985 წლისათვის დამთავრდება ჩვენს ქვეყანაში კარდიოლოგიის ერთიანი სპეციალიზებული სამსახურის შექმნა, — თქვა თბილისში მიმდინარე ლექტორთა სრულიად საკავშირო სემინარზე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ ვ. ს. გასილინმა. მისი გამოსვლა მიეძღვნა საკითხს „გულსისხლძარღვთა დაავადებანი თანამედროვეობის სოციალური პრობლემაა".

ლექტორთა სრულიად საკავშირო სემინარი, რომლის თემაა „მედიცინის მეცნიერების მიღწევები და ჯანმრთელობის დაცვის განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში", განაგრძობს მუშაობას. სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი სემინარის ორგანიზატორებმა — სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ, სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერების აკადემიასა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, მისი მეორე დღის პროგრამაში შეიტანა სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე მედიცინის მეცნიერების განვითარების სხვადასხვა პრობლემას. მოხსენებით გამოვიდნენ: ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ვ. სერდიუკოვსკაია, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი, მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის კათედრის გამგე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ა. პრეობრაჟენსკი, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ქ. გავრილოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების გამგე, პროფესორი ა. გ. პუგაჩოვი და სხვები.

(საქინფორმი).

# იუგოსლავიის ელჩი გაემგზავრა

18 დეკემბერს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მარკო ორლანდიჩი, რომელიც გაცნობის მიზნით მოგზაურობს საბჭოთა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ეწვია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარესთან გ. დ. გაბუნიასთან საუბრის დროს მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება დამოყვრებული ქალაქების თბილისისა და ლუბლიანის კავშირურთიერთობა, დასახულია მათი თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივები.

იმავე დღეს ელჩი და მისი თანმხლები იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი ჯორჯე მისაილოვსკი ეწვივნენ თბილისის სამხატვრო აკადემიას, იყვნენ თბილისის კონიაკის ქარხანაში.

საღამოს მ. ორლანდიჩი ერევანში გაფრინდა. აეროპორტში იუგოსლავი სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდელაძემ, ამ სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ნ. ბ. რუხაძემ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ. (საქინფორმი).

# კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

## კუბის კომპარტიის II ყრილობაზე

ჰავანა, 19 დეკემბერი. (საქდესი). აქ საქმიან და შემოქმედებითს ვითარებაში განაგრძობს მუშაობას კუბის კომუნისტური პარტიის II ყრილობა.

18 დეკემბერს დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები. იგი მგზნებარედ და გულითადად მიესალმა კუბის კომუნისტური პარტიის II ყრილობას და უსურვა სრული წარმატება მის მუშაობას.

როცა დელეგაციას გზა დაულოცა, აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „გადაეცით კუბელ კომუნისტებს, რომ ფიქრებით, მთელი სულითა და გულით მათთან ვარ. თქვენ, — თქვა ლეონიდ ილიას ძემ, — შეხვდებით შესანიშნავ ქვეყანასა და გმირ ხალხს, თქვენ საქმეში ნახავთ დიდ რევოლუციონერს, მგზნებარე ინტერნაციონალისტს, ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს ფიდელ კასტროს, რომელთანაც დიდი ხნის გულწრფელი და კეთილი ურთიერთობა მაკავშირებს.

დარწმუნებული ვარ, — თქვა შემდეგ ლეონიდ ილიას ძემ, — რომ კუბის კომპარტიის II ყრილობა არის უდიდესი მოვლენა კუბელი ხალხისათვის, მსოფლიოს მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალებისათვის. კუბელი რევოლუციონერები ვაჟკაცურად იბრძოდნენ ნამდვილად თავისუფალი კუბისათვის და დაამკვიდრეს სამშობლოს დამოუკიდებლობა, ახლა არცთუ ადვილ პირობებში ისინი აშენებენ და წარმატებითაც აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას. კუბელ მეგობართა ამ ისტორიულ მუშაობაში საბჭოთა ადამიანები იყვნენ და მუდამ იქნებიან მათთან ერთად". აი რა მთხოვა გადმომეცა თქვენთვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, და მოხარული ვარ შევასრულო ეს დავალება.

როცა ვისმენდით ამხანაგ ფიდელ კასტროს მიერ გაკეთებულ ცენტრალური კომიტეტის ღრმაშინაარსიან და მკაფიო საანგარიშო მოხსენებას, თქვა შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, ჩვენ, ისევე როგორც ამ დარბაზში მყოფნი, განვიცდიდით სიამაყის გრძნობას კუბელი კომუნისტებისათვის, კუბელი ხალხისათვის.

კუბის კომპარტიის I ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთი წელი უბრალო წლები არ ყოფილა. მით უფრო მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია თქვენი წარმატებანი.

კუბამ ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან პირველმა გაათავისუფლა შრომა. ყველაფერი, რაც მზადდება ქარხნებსა და ფაბრიკებში, ყველაფერი, რაც პლანტაციებში მოდის, კუბის მთელი ეროვნული სიმდიდრე ახლა ხალხის კუთვნილებაა. ეს უდიდესი მონაპოვარია.

კუბა ლათინური ამერიკის პირველი ქვეყანა გახდა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეში ეკუთვნის მშრომელებს. ასეა ჩაწერილი კუბის კონსტიტუციაში — ღრმად დემოკრატიულ კონსტიტუციაში. ესეც რევოლუციის დიდი მონაპოვარია.

ჭეშმარიტი რევოლუციონერები, თქვა შემდეგ ორატორმა, საქმით ადასტურებენ თავიანთი იდეების სიმართლესა და სიცოცხლისუნარიანობას. თქვენ დაადასტურეთ ეს მონკადის ყაზარმების შტურმით, პლაია — ხირონზე იმპერიალიზმის დაქირავებულთა აგრესიის მოგერიებით, რადიკალურ, სოციალისტურ გარდაქმნათა წარმატებული განხორციელებით. თავისუფალი და დამოუკიდებელი კუბის გამოცდილება აღაფრთოვანებს ჩაგრულთ და ექსპლოატირებულთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ლათინურ ამერიკაში.

კუბის რევოლუციისა და მისი ხელმძღვანელების სიდიადე ის არის, რომ მათ შეძლეს განესაზღვრათ კუბის განვითარების უტყუარი გზა. ეს გზა გაცისკროვნებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქით. იგი აღინიშნა ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით, ადამიანთა ვაჟკაცობითა და გმირობით, რომლებიც კუბის კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ არიან დარაზმული.

კუბის კომპარტია თავის II ყრილობას შეეგება როგორც მუშათა კლასის, ყველა მშრომელის აღიარებული ავანგარდი. დიდია მისი ავტორიტეტი მასებში, მტკიცეა მისი კავშირი ხალხთან. ეს ნდობა მან მოიპოვა კომუნისტთა თავდადებული მუშაობით.

ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, გვახარებს, რომ ლენინის სამშობლოს და ხოსე მარტის სამშობლოს აკავშირებთ მტკიცე მეგობრობა, ამხანაგობა, ძმობა, ჩვენმა მრავალმხრივმა თანამშრომლობამ უდიდესი გაქანება შეიძინა.

ავიღოთ ეკონომიკა. საბჭოთა კავშირ-კუბის საქონელბრუნვა განვლილი ხუთი წლის მანძილზე უკვე განისაზღვრება სოლიდური თანხით —19 მილიარდი მანეთით. მომავალ ხუთწლედში იგი თითქმის გაორკეცდება.

ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობა ახალ ნიშნებს იძენს. საბჭოთა კავშირი პრაქტიკულად აკმაყოფილებს კუბის მოთხოვნილებებს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, აწვდის მანქანებს, მოწყობილობას, სამომხმარებლო საქონელს. კუბელ მშენებლებთან ერთად საბჭოთა სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ 880 ათასი კილოვატი სიმძლავრის კუბის პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში.

ჩვენი თანამშრომლობის, ჩვენი მეგობრობის შესანიშნავი სიმბოლო გახდა, აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ, საბჭოთა კავშირ-კუბის კოსმოსური ეკიპაჟის ამასწინანდელი ფრენა. კოსმოსში არნალდო ტამაიო მენდესისა და იური რომანენკოს მუშაობა სხვა საბჭოთა კოსმონავტებთან ერთად — ეს არის წვლილი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესში, სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული შესაძლებლობების შესანიშნავი დემონსტრაცია.

ყველაზე მჭიდრო, ნამდვილად ამხანაგური ურთიერთობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კუბის კომპარტიას შორის. — ჩვენ თანამოაზრენი ვართ. ამხანაგმა ფიდელ კასტრომ თქვა, რომ კუბელ კომუნისტებს, კუბელ ხალხს გულთან ახლოს მიაქვთ საბჭოთა ხალხის საქმეები. ზუსტად ასევე საბჭოთა კომუნისტები, საბჭოთა ხალხი ღრმა და გულწრფელი დაინტერესებით ეკიდებიან თავისი კუბელი ძმების ყველა საქმეს.

კუბაში სამახსოვრო ვიზიტის დროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ძალიან ზუსტად თქვა: „კუბას ათასობით კილომეტრი აშორებს ევროპისა და აზიის სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ მეგობრებს. მაგრამ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ბუნება ისეთია, რომ რევოლუციური კუბა არასოდეს არ ყოფილა და არასოდეს არ იქნება მარტო. კუბა ძმობის, ამხანაგობისა და უანგარო მხარდაჭერის ურთიერთობით შედუღაბებულ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის სისხლსავსე ცხოვრების აქტიური და პატივცემული მონაწილეა".

შემდეგ კ. უ. ჩერნენკომ თქვა: ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც სწრაფად იცვლება. არც ერთ წინა ეპოქაში არ ყოფილა ასეთი მასშტაბური და დინამიკური ცვლილებანი. ჩვენ თვალწინ სოციალური გარდაქმნები პირდაპირ კარზე უკაკუნებენ ყველაზე დამყაყებულ ტირანულ რეჟიმებს. აქ, ლათინურ ამერიკაში, ამას დამაჯერებლად მოწმობს დიქტატურების დამხობა ნიკარაგუასა და გრენადაში, ხალხის გამოსვლები სალვადორში, კონტინენტის ყველა ხალხის მტკიცე მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს ამ გარდაქმნებს დაუპირისპიროს „სწრაფი რეაგირების კორპუსი", მუდმივი ძალისმიერი ზეგავლენა ქვეყნებზე, რომლებიც მისთვის არასასურველ პოლიტიკას ახორციელებენ. ეს საშიში ხაზია. და დღეს არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე აღვმართოთ მის გზაზე მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული ძლიერება.

ყველას შეგნებული გვაქვს, რომ დღევანდელი მსოფლიო მოუსვენარი მსოფლიოა. ბურჟუაზიული იდეოლოგიური ცენტრები ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს გართულებანი საერთაშორისო ცხოვრებაში დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ საბჭოთა კავშირი, კუბა, სხვა სოციალისტური ქვეყნები ლამის ერეოდნენ სხვა ხალხების საშინაო საქმეებში, ეწეოდნენ რაღაც „რევოლუციის ექსპორტს". ეს, რა თქმა უნდა, უბოდიშო სიცრუეა.

მართლაც, განა კუბელი მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიან ნიკარაგუაში, ეძებენ კონცესიებს კუბისათვის, ხელყოფენ ამ ქვეყნის სიმდიდრეს? განა კუბის მამაცი შვილები უწევდნენ სამხედრო მხარდაჭერას დამოუკიდებელ ეთიოპიასა თუ ანგოლას მათი მთავრობების თხოვნით იმისათვის, რომ წაერთმიათ მათთვის თავისუფლება ან ჩარეულიყვნენ მათს საქმეში? არა და არა!

ეს ნამდვილი ინტერნაციონალისტური პოლიტიკა, მშვიდობისა და ამხანაგური სოლიდარობის პოლიტიკაა.

რევოლუციის ექსპორტს არც თქვენ, არც ჩვენ, არც სხვა სოციალისტური ქვეყნები არ ეწევიან. რევოლუციები გარედან კი არ შემოაქვთ, არამედ იშვება და იმარჯვებს, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, ამა თუ იმ ქვეყნის ნიადაგზე მისი შინაგანი პირობების გამო. მაგრამ კონტრრევოლუციის ექსპორტიც, სოციალისტური ქვეყნების საქმეებში გარედან ჩარევა შეუწყნარებელია. ეს უნდა იცოდნენ იმპერიალისტებმა!

ჩვენ, კომუნისტებს, გვწამს გონებისა და კეთილი ნების ძალა. მშვიდობა შეესაბამება მთელი კაცობრიობის საარსებო მისწრაფებებს, და მომავალი შეიძლება ეკუთვნოდეს და კიდევაც უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მშვიდობის პოლიტიკას.

ამის დამაჯერებელი [illegible]რება საბჭოთა [illegible] ინიციატივა სპარსეთის ყურის [illegible] ვითარების ნორმალიზაციის შესახებ. თუ დაინტერესებული სახელმწიფოები [illegible] წინაშე ახლახან ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში [illegible] კონკრეტულ წინადადებებს საფუძვლად, შეიძლება საშიში დაძაბულობა დღის წესრიგიდან მოიხსნას პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, მშრომელები, თქვა დასასრულ კ. უ. ჩერნენკომ, ამჟამად აქტიურად ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის. ჩვენ ვსახავთ ახალ მასშტაბურ გეგმებს. ახლა საბჭოთა ადამიანები იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი". მოკლედ გეტყვით: მტკიცედ ადგას რა ლენინურ გზას, საბჭოთა ხალხი თავისი ნაცადი ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაურობით თანამიმდევრულად წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

დღევანდელი და ხვალინდელი დღის ორგანული ნაწილია ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისათვის, კუბასთან, სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობის განვითარება. ჩვენი წინსვლა ახალი მწვერვალებისაკენ მიგვაჩნია სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ წინსვლად მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისაკენ.

კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს უდიდესი ყურადღებით. სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში. დილის სხდომის თავმჯდომარემ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა არმანდო ხარტმა ყრილობის ყველა დელეგატის სახელით დიდი და გულითადი მადლობა გადაიხადა კუბის კომუნისტთა და ყველა მშრომელის მიმართ გამოთქმული გულთბილი სიტყვებისათვის.

# ერთიან მწყობრში

## კუბის კომუნისტური პარტიის II ყრილობა

ჰავანა. 17 დეკემბერს საყოველთაო პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აქ მუშაობა დაიწყო კუბის კომპარტიის II ყრილობამ.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ფიდელ კასტრომ საანგარიშო მოხსენებაში განაცხადა:

ჩვენ ძნელი გზა გამოვიარეთ. იძულებული გავხდით წინააღვდეგომოდით ყველაზე მძლავრ იმპერიალისტურ სახელმწიფოს, რომელიც სულ 90 მილზეა ჩვენი ნაპირებიდან, ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა იმ რეაქციული იდეების წინააღმდეგ, რომლებსაც ასწლეულის, ის კი არა, ათასწლეულების მანძილზე ავრცელებდნენ, ბრძოლა ექსპლოატატორული კლასების მხეცური სიძულვილის წინააღმდეგ, იზოლაციის, მტრული დამოკიდებულების, მუქარის, ცილისწამების წინააღმდეგ. ჩვენ არ დაგვიხევია უკან, არ დავთანხმებივართ არავითარ შეღავათს იმპერიალიზმისადმი, არ აგვიღია ხელი არც ერთ ჩვენს იდეასა თუ რევოლუციურ პრინციპზე.

მომხსენებელმა მიმოიხილა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 1975-1980 წლების პერიოდში, ზოგადად გაამუქა მომავალი პერიოდისათვის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

1976-1980 წლების მიმავალი ხუთწლეული, თქვა მან, აღინიშნა უთვალსაჩინოესი წარმატებებით კუბის სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის დარგში, ჩვენი საწარმოო რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად ბრძოლაში, აგრეთვე მნიშვნელოვანი მიღწევებით ეკონომიკურ განვითარებაში, ჩვენი ხალხის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანების შესრულებაში, ამავე დროს განვლილი პერიოდი აღინიშნა ობიექტური ხასიათის მრავალი სიძნელით — როგორც შინაგანი, ისე გარეშე სიძნელეებით, რომლებმაც არ მოგვცა საშუალება მიგვეღწია ყველა დასახული მიჯნისათვის.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის საშუალო წლიურმა მატებამ ამ ხუთი წლის მანძილზე უცვლელ ფასებში შეადგინა 4 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არა მარტო მივაღწიეთ ასეთი ზრდის ტემპს, არამედ შევძელით კიდეც გაცილებით გაგვეუმჯობესებინა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით ჩვენი მუშაობის ეფექტიანობა, შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად 3,4 პროცენტით იზრდებოდა.

ამ ხუთწლეულში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წამყვანი ადგილი დაიკავა ინდუსტრიალიზაციამ. ბოლო წლებში მივაღწიეთ სახალხო მეურნეობის დარგების მეტ ინტეგრაციას, კვლავინდებურად ფართოვდებოდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა.

შემდეგ ფ. კასტრომ დაწვრილებით გააშუქა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების მიმდინარეობა.

მოხსენების დიდი ნაწილი მიეძღვნა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც განსახილველად წარედგინება ყრილობას.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო რევოლუციური შეიარაღებული ძალების საქმიანობას, საზოგადოებრივი და მასობრივი ორგანიზაციების მუშაობას.

ჩვენი კომუნისტური პარტია, ნათქვამია მოხსენებაში, — რევოლუციის საუკეთესო მონაპოვარი და მისი შემდგომი განვითარების საწინდარი, — ამ ყრილობას დიდი მიღწევებით შეეგება. ახლა შეგვიძლია კანონიერი სიამაყით განვაცხადოთ, რომ პარტია კიდევ უფრო ძლიერი, უკეთ ორგანიზებული, უფრო გამოცდილი გახდა.

საანგარიშო მოხსენებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ანალიზს. უკანასკნელ ხანს, თქვა ფ. კასტრომ, სულ უფრო აშკარად ვხედავთ, თუ როგორ უქმნიან საფრთხეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას რეაქციული იმპერიალისტური წრეები. სწორედ მისი შედეგია, რომ დაძაბულობის შენელების დაწყებული რთული პროცესი შეწყდა და კვლავ წარმოიშვა „ცივი ომის" პოლიტიკის აღორძინების საფრთხე.

საერთაშორისო ვითარების ასეთი გამწვავებისათვის, თქვა მომხსენებელმა, პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ იმპერიალისტურ ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს. ამერიკის იმპერიალიზმი სარგებლობს იმ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა ჩინეთის მთავრობის დამღუპველი პოლიტიკის გამო, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის საქმისადმი მისი ხელმძღვანელობის ღალატის შედეგად და შეუდგა ანტისაბჭოური ბლოკის შექმნას, რომელშიც ჩინეთი, იაპონია და შეერთებული შტატები შედიან.

შემდეგ ფ. კასტრომ განაცხადა, რომ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების მიერ დაძაბულობის შენელებისათვის შექმნილი საფრთხის მიუხედავად შეიძლება ვიხსნათ დაძაბულობის შენელების საქმე დღევანდელ რთულ, უაღრესად გამძაფრებულ საერთაშორისო ვითარებაში. დაძაბულობის შენელების შესაძლებლობა არ დაგვიკარგავს, და არ დაგვიკარგავს, უწინარეს ყოვლისა იმ მტკიცე, თანამიმდევრული მშვიდობის პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად ახორციელებს მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების მხარდაჭერით, თქვა ფ. კასტრომ.

დასასრულ მომხსენებელმა განაცხადა, რომ კუბა მზად იქნება წინააღუდგეს ყოველგვარ სამხედრო ბლოკადას თუ ამერიკის იმპერიალიზმის შემოჭრას! კუბა არის და იქნება საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოს მეგობარი, კუბა დგას და კვლავაც იდგება ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

## მეგობრობა: სსრ კავშირი—კუბა

კუბაში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასთან.



სურათზე: დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ჰავანის ნავსადგურის მუშას ხოსე კანტეროსა და საბჭოთა გემის „აკადემიკ შახოვის" მატროსს ვიქტორ ერგინს:

საქდესის ფოტოქრონიკა.

# ოფიციალური წარდგინება

## დასავლეთ ბერლინის სენატს

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალური წარდგინებით მიმართა დასავლეთ ბერლინის სენატს იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლების-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგისა და ცალკეული მხარეების ორგანოებმა უკანონოდ გამართეს სხდომები ბერლინში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა დასავლეთ ბერლინის სენატის რწმუნებულს განუცხადა, რომ ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება არსებულ შეთანხმებებსა და მორიგებებს, და შედეგად მოსდევს დაძაბულობის გამწვავება და ურთიერთობის გაუარესება.

როგორც მან აღნიშნა, ასეთი პოლიტიკის კიდევ ერთი გამოხატულებაა ის, რომ სენატი დღემდე უარს ამბობს ჩააბაროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ე. ბუნგე, — რომელიც ეჭვმიტანილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების მოსამსახურის განზრახ მკვლელობაში.

როცა ამ ცოტა ხნის წინ დასავლეთ ბერლინის საზოგადოებრიობის წრეებში დისკუსია გაიმართა საქალაქო რკინიგზის გამო, რომელიც დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზეც გადის, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაადასტურა, რომ ეს რკინიგზა მთლიანად ექვემდებარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს განმგებლობას. მთავრობის რწმუნებულმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებმა არაერთგზის წამოაყენეს კონსტრუქციული წინადადებანი, რათა რაციონალურად გამოეყენებინათ საქალაქო რკინიგზა დასავლეთ ბერლინის სატრანსპორტო სისტემის ფარგლებში, მაგრამ დასავლეთ ბერლინის სენატს ჯერაც არავითარი რეაგირება არ მოუხდენია ამ წინადადებებზე.

# სესია დამთავრდა

ნიუ-იორკი. აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესიამ. საერთაშორისო გაერთიანების ფორუმმა დაადასტურა მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მისწრაფება იბრძოლონ კონკრეტული შედეგებისათვის გამალებული შეიარაღების ალაგმვაში, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებასა და ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებაში.

სესიამ მიიღო 40-ზე მეტი რეზოლუცია განიარაღების საკითხებზე. ამასთან მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუციები ემყარება პლანეტაზე პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის ზრუნვით ნაკარნახევ საბჭოთა წინადადებებს.

მხოლოდ ფაქტები

## ტელეტაიპის ლენტიდან

● სან-ხოსე

როგორც სალვადორიდან იუწყებიან, სალვადორის მმართველი ხუნტის ყოფილი წევრი პოლკოვნიკი მახანო დაპატიმრებულია. ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ გასცა აშკარად ფაშისტურმა სამხედრო ზედა ფენამ, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მახანო გარიცხა ხუნტიდან „ლიბერალიზმისათვის".

გადაყენების შემდეგ მახანომ უარი განაცხადა ესპანეთში წასვლაზე, სადაც იგი დანიშნული იყო სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე.

● დელი

ინდოეთის დედაქალაქის მოსახლეობამ 5,8 მილიონს მიაღწია. სპეციალისტთა აზრით დელის მცხოვრებთა რიცხვი 2000 წლისათვის ორჯერ გაიზრდება. ქვეყნის მთავრობა კონკრეტულ ღონისძიებებს მიმართავს სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, რაც გამოწვეულია კალკუტის, ბომბეის, დელის, მადრასის ჭარბმოსახლეობით. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის თანაბარზომიერად განაწილების მიზნით მცირე ქალაქების განვითარებას.

● მაპუტუ

პრეტორიიდან მიღებული ცნობებით, ქოლერის ეპიდემია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში საშიშ მასშტაბს იღებს. ამჟამად აღრიცხულია 707 შემთხვევა. გარდაიცვალა 12 ადამიანი.

მდგომარეობას ართულებს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების უქონლობა, უკიდურესად ცუდი სანიტარიული პირობები, რომლებშიც ქვეყნის მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობა ცხოვრობს.

● პრესა ადასტურებს

# სასტიკი დარტყმა

## ანუ რატომ გარბიან „აღთქმული ქვეყნიდან"

ლონდონი. „ისრაელის სახელმწიფოს წინაშე პოტენციურად სერიოზული და ხანგრძლივი სიძნელეები დგას იმის გამო, რომ მას უნარი არ შესწევს მიიზიდოს ებრაელი იმიგრანტები და შეინარჩუნოს ებრაული ეროვნების ის პირნი, რომლებიც ქვეყანაში ჩავიდნენ", — წერს დღეს ინგლისის გაზეთი „ტაიმსი".

მოსახლეობის უკუდენის მასშტაბი ვლინდება ოფიციალურ სტატისტიკაში, რომელიც ახლა პროპაგანდისტული ხმაურის გარეშე ქვეყნდება, წერს შემდეგ გაზეთი. ამ მონაცემებს მეთვალყურენი მიიჩნევენ სიონისტური იდეოლოგიის ძირითად საფუძველზე „სასტიკ დარტყმად".

ოფიციალურ პირთ, აღნიშნულია სტატიაში, მოჰყავთ ამ მოვლენის ასახსნელად უამრავი მიზეზი, მათ შორის ინფლაციის წლიური ზრდა, რომელიც ახლა 150 პროცენტს აღემატება, ბინების ნაკლებობა ახლად ჩამოსულებისათვის და ბეგინის კოალიციური მთავრობის საერთო პოლიტიკა.

ებრაელთა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ებრაული ეროვნების პირთა დაახლოებით 80 პროცენტი, რომლებიც თავიანთი ადგილსამყოფელი ქვეყნებიდან მიემგზავრებიან, ამჯობინებენ არა ისრაელში, არამედ სხვა სახელმწიფოებში დასახლებას. ნოემბერში ისრაელში ჩავიდა 900-ზე ცოტა მეტი კაცი. დასავლეთ ევროპიდან იმიგრანტთა რიცხვი 32 პროცენტით შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

იმიგრანტთა შენელებული ნაკადი ქვეყანაში ემთხვევა სულ უფრო გაძლიერებულ უკუდენას: ოფიციალური მონაცემების თანახმად, 33 ათასმა კაცმა 1980 წლის ათ თვეში დატოვა ისრაელი — ორჯერ მეტმა, ვიდრე შარშან. „დასავლეთ დიპლომატებს მიაჩნიათ, რომ ეს ციფრები სინამდვილეში უფრო დიდია, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადებული", — ხაზს უსვამს „ტაიმსი". გაზეთმა „ედიოტ ახრონოტმა", რომელიც ტელ-ავივში გამოდის, ამას წინათ მოაწყო მოსახლეობის გამოკითხვა, რომლის თანახმად ახლო მომავალში ისრაელის დატოვებას აპირებს 200 ათასამდე კაცი. ამრიგად, ბეგინის ექსტრემისტული პოლიტიკა, ქვეყნის მილიტარიზაციის, საზღვარგარეთ იარაღის შესყიდვის კურსი, ისრაელის გაღრმავებული ეკონომიკური კრიზისი ეწინააღმდეგება სიონისტთა მოწოდებებს, რომ საჭიროა სხვა ქვეყნებიდან ებრაელ მოქალაქეთა დასახლება „აღთქმულ ქვეყანაში".

# პეკინის „საჩუქარი"

## ცალმხრივად შეწყვიტეს დადებული კონტრაქტები

ტოკიო. იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო წრეებმა მორიგი „საჩუქარი" მიიღეს ჩინეთისაგან — პეკინმა უარი თქვა იაპონიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის ნაკისრ ვალდებულებებზე. როგორც საქმიან სამყაროსთან დაახლოებული გაზეთი „ნიხონ კეიძაი" იუწყება, პეკინმა, რომელმაც ახლახან გააუქმა ბაოშანის მეტალურგიული კომბინატის მეორე რიგის მშენებლობის კონტრაქტი, ამ რამდენიმე დღის წინათ იაპონიის მხარეს შეატყობინა, რომ გადაწყვიტა ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ნავთობქიმიური საწარმოების მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა მორიგების რეალიზაცია.

„შეჩერებული" კონტრაქტების საერთო ღირებულება, აღნიშნავს გაზეთი, 300 მილიარდ იენს სჭარბობს. „ნიხონ კეიძაის" თქმით, იაპონელ მრეწველებს ძლიერი დარტყმა მიაყენეს.

19 დეკემბერი

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე



**ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲐᲠᲑᲔᲑᲚᲐᲓ** შეიძლება ითქვას, რომ სახელგანთქმული მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელისა და დღემდე უცვლელი ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ჩიტაიას იუბილე ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის იუბილეც არის. გ. ჩიტაიას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა მშობელი ხალხის უძველესი და უმდიდრესი კულტურის, ყოფისა და ტრადიციების შემსწავლელ მეცნიერებას მაშინ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში.

გ. ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ქ. ფოთში. 1911 წელს, თბილისის მეორე გიმნაზიის დამთავრებისთანავე, მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის სპეციალობით. სრულიად ახალგაზრდა კაცმა ჩინებული სწავლითა და მეცნიერული კვლევის უნარით იმთავითვე მიიპყრო თავისი დიდი მასწავლებლების — ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და ი. ორბელის ყურადღება. უნივერსიტეტის ამ სწავლულთა რეკომენდაციით 1912 წელს გ. ჩიტაია კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნება კენიგსბერგში, საიდანაც კვლავ პეტერბურგში ბრუნდება სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გ. ჩიტაიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომელიც მაშინ ქართული ეთნოგრაფიის ერთადერთ სამეცნიერო კერას წარმოადგენდა.

ზოგად ეთნოგრაფიაში ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა იმთავითვე დაინახა, რომ საბჭოთა მეცნიერების წინსვლისა და აღმავალი განვითარების ინტერესები მოითხოვდა ქართული ეთნოგრაფიის ამაღლებას საკუთარი მეთოდის მქონე ისტორიულ მეცნიერებამდე, რომელიც თავისი კვლევა-ძიების მთავარ წყაროდ გაიხდიდა ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს.

მანამდე არსებული რარიტეტული, ანტიკვარული და სხვა მეთოდების ნაცვლად გ. ჩიტაიას შრომებში თანდათანობით გამოიკვეთა და ეთნოგრაფიულ კვლევაძიებაში დაინერგა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომლის მეოხებითაც ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლა ხდება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით.

მეცნიერი ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობდა სამუზეუმო საქმიანობაში. მისი თაოსნობით თბილისის სხვადასხვა მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული კოლექციები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას, სადაც შეიქმნა საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზა.

შემკრებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საფუძვლად დაედო რეგიონალურსა და თემატიკურ ეთნოგრაფიულ გამოფენებს. 1932 წელს აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და პროფესორ ვერა ბარდაველიძის გეგმითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ხევსურეთისა და სვანეთის გამოფენები, რომლებიც თავისი დროისათვის მეცნიერულად გამართულ ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს წარმოადგენდნენ. გ. ჩიტაიას თაოსნობით 1954 წელს გაიხსნა საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა. იგი მოსკოვის ეთნოგრაფთა საკავშირო სესიაზე ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწევად იქნა აღიარებული. ღვაწლმოსილი მეცნიერის მიერ შემუშავებული გეგმითა და კონსულტაციით თბილისში მოეწყო მუზეუმი ღია ცისქვეშ, რომლის შემდგომი ზრდა-განვითარება მისივე ხელმძღვანელობით წარიმართება.

გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით არაერთი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ექსპედიციების მუშაობის სამეცნიერო ანგარიშებს, რომლებშიც მიღებული შედეგებიც ფასდებოდა და მომავლის პერსპექტივებიც ისახებოდა, გ. ჩიტაია სისტემატურად აქვეყნებდა კრებულებსა და ჟურნალებში.

გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანი შრომები ძირითადად საველე მასალების საფუძველზეა შექმნილი. დიდი ერუდიციისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი დაჯილდოებულია ფაქტობრივი მონაცემების მიკვლევის, ფიქსაციის, კლასიფიკაციისა და მეცნიერული ანალიზის გამორჩეული უნარით. თავის გამოკვლევებში იგი გამოყოფს თავდაპირველ, ტრადიციულ, განვითარებადს, ამასთანავე დრომოჭმულსა და გადმონაშთურ მოვლენებს. ნებისმიერი საკითხის შესწავლაში მკვლევარი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიზმსა და შესადარებელ მონაცემებს. ამგვარი პრინციპების საფუძველზე დაწერილი მისი შრომები მიეძღვნა უმთავრესად ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესწავლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახვნელებისა და მიწათმოქმედების სისტემების კვლევის შედეგები, რომლებიც ფართოდ გახდა ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც, ქართველი მეცნიერი არჩეულია აგრარული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

ეროვნული ეთნოგრაფიის განვითარებაში გ. ჩიტაია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური საზოგადოების ყოფისა და კულტურის შესწავლას, რომელშიც თავისი გამოკვლევებითაც სათანადო წვლილი აქვს შეტანილი. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ასევე თავის დროზე მიაქცია ყურადღება კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ შესწავლას, რაც დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. გ. ჩიტაიას დიდი ხნის ოცნებაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის რამდენიმე ტომად გამოცემა, რომლის შედგენის პრინციპები მანვე შეიმუშავა.

გ. ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სარედაქციო საქმიანობას. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა ნ. ხიზანაშვილის, თ. სახოკიას, ი. ციციშვილის ნაშრომები.

მეცნიერი დიდი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურება კადრების მომზადების საქმეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი სისტემატურად კითხულობს ზოგადი ეთნოგრაფიის, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფიის კურსს, სპეცსემინარებს უტარებს სტუდენტებს, ასპირანტებსა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს. მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი სპეციალისტები — მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები — წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. კეთილ მოძღვარს დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული აქვს მოპოვებული თავის აღზრდილთა შორის. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრას, რომელიც რიგით მეორეა საბჭოთა კავშირში მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ.

გ. ჩიტაია სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მუშაობაში.

საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მიწვეული იყო ბერლინის, ფილადელფიის, პარიზის, მოსკოვის, ტოკიოს, ჩიკაგოსა და დელის საერთაშორისო კონგრესებზე.

სახელგანთქმული მეცნიერი დღესაც უწინდელი ენთუზიაზმით ეკიდება საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი არის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფაზისის აკადემიის რექტორი, თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კაბინეტის კონსულტანტი.

ესოდენ მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ეგებება პატივცემული იუბილარი თავისი დაბადების 90-ე წლისთავს. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი დიდი ღვაწლი. ქართული საეთნოგრაფიო მეცნიერების განვითარებასა და კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის ის ახლახან დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით. მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მრავალრიცხოვანი მოწაფეები და კოლეგები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურისა და მეცნიერების აღმავლობა, ჯანმრთელობას და კიდევ დიდი ხნის ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ გამოჩენილ საბჭოთა ეთნოგრაფს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს პროფესორ გიორგი ჩიტაიას.

# ქართული ეთნოგრაფიის პატრიარქი

## ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲢᲐᲘᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

**ნ. ხაზარაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,

**ვ. ითონიშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ



## ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ თბილისში დაბრუნდნენ ლა-ვალეტაში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულები მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. მათ, მართლაც, მძიმე და დაძაბული ბრძოლა გადახდათ თავს და საბჭოთა საჭადრაკო სკოლას ახალი გამარჯვება მოუტანეს.

გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონებს თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს ტელევიზიამ და რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციამ. გამარჯვებულებმა შეკრებილთ მოუთხრეს იმაზე, თუ როგორ წარიმართა გუნდური პირველობისათვის ბრძოლა და როგორ გაართვეს თავი ასპარეზობის მსვლელობისას წამოჭრილ პრობლემებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები, მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში გუშინდელი და მომავალი მეტოქეები მეგობრული სულისკვეთებით იბრძოდნენ საერთო გუნდური წარმატებისათვის, ერთმანეთს დახმარების ხელს უწვდიდნენ და აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს. აღინიშნა ისიც, რომ ლა-ვალეტაში გამართულ ფიდე-ს კონგრესზე ნონა გაფრინდაშვილი არჩეულია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა კომისიის თავმჯდომარედ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონები. მარცხნიდან — ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია.

ს. კილაძის ფოტო.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ზამთრის არდადეგები დაიწყება 1980 წლის 30 დეკემბერს და დამთავრდება 1981 წლის 11 იანვარს. მეცადინეობა შეწყდება 29 დეკემბერს გაკვეთილების შემდეგ და განახლდება ორშაბათს, 12 იანვარს. (საქინფორმი).

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

**ამა წლის 24 დეკემბერს 13 საათზე იწვევს თათბირს, რომელზეც საჯაროდ იქნება განხილული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომები.**

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს.

სხდომა გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში (მისამართი: რუსთაველის გამზ., № 52, IV სართული, ოთახი № 411).

## Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ № 65 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ.

**საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ყაზებისათვის** სატელეფონო ქსელის მეკაბელის სპეციალობაზე. სწავლის ვადა 8 თვეა, ხოლო სტიპენდია 80 მანეთამდე.

**ქალებისათვის** — ტელეგრაფისტის და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ტელეფონისტის სპეციალობაზე. სტიპენდია 30 მანეთი. სწავლის ვადა — 1 წელი.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი.

ფრიადოსანი მოსწავლეები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას. მოსწავლეები სწავლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნებიან სამუშაოდ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში.

სწავლის პერიოდი ითვლება საწარმოო სტაჟად.

ყველა კურსდამთავრებულს შეუძლია მოეწყოს უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ ან საღამოს განყოფილებაზე არსებული წესების შესაბამისად. ხოლო მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს წარჩინებით დაამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ კანონით დადგენილი უპირატესობით.

სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, დაბადების მოწმობა, სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ექვსი ფოტოსურათი 3X4, სამხედრო ბილეთი.

**საბუთები მიიღება 1981 წლის 25 იანვრამდე.**

**მეცადინეობა დაიწყება 1981 წლის 1 თებერვალს.**

**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებელს მისამართით:** 380014 თბილისი — 14, ნარიმანოვის ქ. № 6. ტელეფონები 72-44-44; 72-35-35.

ტრანსპორტი კოლმეურნეობის მოედნიდან ავტობუსი № 16, 23, 39, 59, ტროლეიბუსი 7 და 10, გაჩერება „ორთაჭალჰესი".

## ᲖᲦᲕᲘᲡ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ!

**ᲓᲐᲛᲐᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ** და სანელებლებით შეზავებული ჰეჰყინა და ქაფშია შესანიშნავი მზა საუზმეა, გემრიელი და სასარგებლოა, აღვიძებს მადას.

ამ თევზებს ძალიან უხდება მაიონეზის, მოხარშული კარტოფილის, მოხარშული კვერცხის, მწვანე ხახვის გარნირი.

თუ მცირეოდენ ფანტაზიასაც მოიშველიებს, დიასახლისს შეუძლია სადღესასწაულო სუფრა ლამაზად გაფორმებული საუზმით დაამშვენოს.

აი ერთი პატარა რეცეპტი:

გასუფთავებული ჰეჰყინა ან ქაფშია დაალაგეთ ლანგარზე, მოასხით მაიონეზი, მორთეთ მწვანე ხახვით, მოხარშული კვერცხით ან კარტოფილით.

ამ დღეებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სისტემის სასურსათო მაღაზიებში მიღებულია და იყიდება დამარილებული და სურნელოვანი სანელებლებით შეზავებული ჰეჰყინა და ქაფშია წონით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ: ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



# ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

### 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტიმანის მეგობარი" (მ.), 11.20 — „აშკარა — დაუჯერებელი" (მ.). 12.20 — მხატვრული ფილმი „გადავარჩინოთ ქალაქი" (ფ.), 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მომავლის ნაბიჯები" (მ.), 16.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წითელი თავსაფრები", 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.40 — განცხადებები, 17.45 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.15 — „ათი ათასად ზრდილობა". განმეორებით, 19.15 — კინოჟურნალი, 19.25 — „ჩვენი სტუმრები", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფილმი „დღესასწაულის დღეს", 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ლენინური გეგმის გოელროს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი. ტრანსლაცია სსრ კავშირის დიდი აკადემიური სახელმწიფო თეატრიდან. შესვენების დროს — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგვითხრობს დანიილ გრანინი". პირველი და მეორე ნაწილი, 16.45 — განცხადებები, 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.20 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 17.50 — მხატვრული ფილმი „უკუკავშირი", 19.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჟურნალისტური პატიოსნებით", [illegible] რიძე, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „ყრილობიდან ყრილობამდე" — ლიტერატურული აფხაზეთი. გადაცემა პირველი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა, 23.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავთო ვარაზი". 23.30 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „მუშაითი", „გადასასვლელი", 16.30 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.00 — განცხადებები, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.45 — მასწავლებლის საათი — ალგებრა, 18.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოიხედე, ნახავ მეგობრებს".

### 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ნორჩების შემოქმედება" (მ.), 10.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ირკუტსკის ისტორია". პირველი სერია (მ.), 11.50 — მოლდავეთის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის გუნდის კონცერტი (მ.), 12.20 — მხატვრული ფილმი [illegible]

### 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „სამი ბანანი" (მ.), 10.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ირკუტსკის ისტორია". მეორე სერია (მ.), 11.30 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ბ. შტოკოლოვისა და ანდრეევის სახელობის რუსული ხალხური ორკესტრის კონცერტი (მ.), 12.20 — მხატვრული ფილმი „მე მყინვთავი-2 ვარ", 15.30 — ახალი ამბები (მ.). 15.50 — კინოპროგრამა „ადამიანი დედამიწაზე" (მ.), 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიტმი, რიტმი, რიტმი", 16.50 — ტელეკურსელთათვის — მათემატიკა, 17.20 — „გოელროს ლენინური გეგმა" (მ.), 17.50 — განცხადებები, 17.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცეკვის ანსამბლი „სალხინო", 19.15 — „მოამბე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — მღერის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. გულიაევი (მ.). 20.15 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად" — ლატვიის ტელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.). 23.35 — „ყრილობიდან ყრილობამდე" — ლი[illegible]

### 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.50 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „გამოგზებმაურეთ, მესაყვირეებო" (მ.), 10.35 — ციმბირის კრასნოიარსკის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (მ.), 11.20 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.), 12.20 — მხატვრული ფილმი „ქორწინება ხელმეორედ", 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.50 — უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა (მ.), 16.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნუ მოიწყენ შემოდგომაზე", 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.15 — „12 საუკეთესო ფილმი" — „მიწა", 19.15 — **„მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი"** (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე", 20.30 — „მეცნიერის თვალსაწიერი" — გიორგი მარუაშვილი, 20.50 — „ბუნების კარი", 21.35 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „აფხაზური ფოლკლორის საღამო", 23.55 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.30 — განცხადებები, 16.35 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნაბერეჟნიე ჩელნი", 17.30 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა, 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე". პირველი სერია.

### 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „საყვარელი ლექსები" (მ.), 10.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „კოდური სახელწოდება „სამხრეთის ჭექა-ქუხილი". პირველი სერია (მ.), 11.40 — პ. ჩაიკოვსკი — კვარტეტი № 2 (მ.), 12.20 — მხატვრული ფილმი „ალო, ტაქსი!", 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.50 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა (მ.), 16.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობა", 17.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 17.30 — „ნახატი გმირების სამყაროში", 18.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.45 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად". „კოლექტივის წარგზავნილი", 19.15 — „მოამბე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად". „დიადი წიგნის ფურცლები" — „შემოქმედების გაზაფხული". ფილმი მეოთხე (მ.), 20.55 — „ქართული მეცნიერების გზა" (ცენტრალური ტელევიზიის გადაცემის განმეორება), 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 22.50 — ახალი ამბები, 23.05 [illegible]

### 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ჯანმრთელობა" (მ.), 10.35 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.05 — „ჩვენს [illegible]" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი [illegible] „ჩემი [illegible]", 11.40 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 12.10 — „ხუთწლედი — წელი დამამთავრებელი", 12.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ირენა", 13.35 — „სპორტლოტოს" 52-ე ტირაჟი (მ.), 13.50 — „თანამეგობრობა" — სატელევიზიო ჟურნალი (მ.), 14.25 — „თბილისი და თბილისელები", 15.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 15.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხანძარი და დაუდევრობა", 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისკრის ზარები". 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყვავილები", 17.10 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 18.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.55 — „მოამბე", 19.40 — „მეცხრე სტუდია" (მ.), 20.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დულსინეა ტობოსელი". პრემიერა. პირველი სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დულსინეა ტობოსელი". მეორე სერია (მ.), 23.50 — „მღერიან დრამატული თეატრის მსახიობები" (მ.).

**მეორე პროგრამით:** 16.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „სიღარიბე საძრახისი არ არის", 17.50 — კონცერტი, 18.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე". მესამე სერია. 19.35 — „თეატრალური პანორამა".

### 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიაღარა-სავარცხელა", 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით), 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „კინოაფიშა", 13.45 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში—დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 14.15 — „ვისტნიკი", 14.45 — „კინოს მოყვარულთათვის", 16.15 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი. 16.50 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.), 18.00 — „თქვენი თხოვნით" — „დაგელოცოთ ჭერი", 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 20.00 — „კინოს სამყაროში", 21.05 — „მოამბე", 21.35 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახვედრად — საგუნდო მუსიკის ზეიმი.

[illegible]

# ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ



## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

### 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible]

### 23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible] 12.15 — პოლონეზები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ფოცხიშვილის ლექსები, 12.30 — ნ. გაბუნია. მუსიკალური ფრაგმენტი კინოფილმიდან „აურზაური სალ[illegible]

### 24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible] ები, 21.40 — ვ. კანდელაკი. „გია მაგაბელი". რადიოდადგმა. პრემიერა. 23.30 — პ. ამირანაშვილის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible]

### 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible] რიზონტები" — „მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ცენტრი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „საერთაშორისო მდგომარეობა. კითხვა-პასუხი" (მ.), 22.00 — ქართული ხალხუ[illegible]

### 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible]

### 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

[illegible] ჩო", რადიოდადგმა, 21.30 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.


# ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!



**ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ. კულტურის სახლებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და დაწესებულებებში მრავალი საახალწლო ნაძვისხე აინთება.**

**ყველა ხელმძღვანელს შევახსენებთ,** რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საახალწლო ნაძვისხის მოწყობა შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან.

სახანძრო უსაფრთხოების **წესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ობიექტების ხელმძღვანელებს.**

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ ადგილობრივ სახანძრო ორგანოებსა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲜᲫᲠᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲮᲐᲜᲫᲠᲔᲗᲐ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.


## ტელევიზია

### 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ივანე ჯავახიშვილი", 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა, 10.45 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.15 — მხატვრული ფილმი „სხვათა ცოდვების მონანიება", 12.40 — „მუსიკალური ფოსტა" (განმეორებით), 13.25 — „ქართული საბჭოთა თეატრი" — უშანგი ჩხეიძე (განმეორებით), 14.10 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად" — „როცა ბრიგადა კომპლექსურია", 14.30 — მუსიკალური ფილმი „ქალაქური ფანტაზია" 15.20 — ახალი ამბები (მ.), 15.30 — მოსწავლეთათვის — „მობურთალსა მოედანი", 16.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.25 — პოლიტიკური მიმომხილველის ვ. ბეკეტოვის საუბარი (მ.), 18.00 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას" — ცხაკაიას რაიონი, დასასრულ ცხაკაიას რაიონის თვითმოქმედების კონცერტი, 19.40 — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან „ქართული კულტურის ძეგლები ასტრახანში", 20.25 — „უკრავს ლიანა ისაკაძე", 21.00 — „მოამბე", 21.30 — „შეხვედრა დრამატურგთან" — გ. ბათიაშვილი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „კომუნისტი ეკრანზე" — მხატვრული ფილმი „უკუკავშირი".

**მეორე პროგრამით:** 15.45 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიანი", 16.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რატომ აქვს ტახს ეშვები", 17.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „მტრები" — პირველი და მეორე ნაწილი, 19.50 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ზურაბ ქაფიანიძე.

## თეატრი

### 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ფაუსტი** (მე-11 აბონ. მე-10 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეპო;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **კურკას ქორწილი;** მინიატიურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები;** რუსთავის დრამატული თეატრი (რკინიგზელთა სახლში) — **დღე — სასწაული;** მეტეხის თეატრი — **მწუხარე სახის რაინდი;** კონსერვატორიის დიდი დარბაზი — **უკრავს — ა. ვოლკოვი — ორგანი.**

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.